# 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურის მედიაში გაშუქება

**რადიოების საარჩევნო მონიტორინგი**

10 - 25 ოქტომბერი, 2016 წელი

რადიოარხების კვლევა მოიცავს 12 რადიომაუწყებლის საღამოს საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგს. ესენია: „რადიო 1“ (საზოგადოებრივი მაუწყებელი), „იმედი“, „ფორტუნა“, „თავისუფლება“, „პალიტრა“,„პირველი რადიო“, „ქალაქი“, „მაესტრო“, „ჰერეთი“ (ქ. ლაგოდეხი), „რიონი“ (ქ. ქუთაისი), „ათინათი“ (ქ. ზუგდიდი) და „აჭარა“(ქ. ბათუმი).

მოცემულ ანგარიშში შესულია მედიის მონიტორინგის შედეგები მხოლოდ არჩევნების მეორე ტურში მონაწილე პოლიტიკური პარტიებისა და დამოუკიდებელი კანდიდატებისათვის.

მასალის რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი **მიგნებები:**

- დაკვირვების ქვეშ მყოფ საინფორმაციო გამოშვებებში პარტიებისთვის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დათმობილი საეთერო დრო თითქმის თანაბარი იყო, ხოლო „თავისუფალი დემოკრატებისთვის“ - ბევრად მცირე.
- ჟურნალისტები ძირითადად პოლიტიკურ პარტიებს აშუქებდნენ და ნაკლებ დროს უთმობდნენ მეორე ტურში გასულ მათ კანდიდატებს.
- მაჟორიტარობის დამოუკიდებელ კანდიდატებს საეთერო დრო არ დათმობიათ;
- ჟურნალისტების დიდი ყურადღება გამოიწვია არჩევნების მეორე ტურმა - გაშუქდა როგორც პოლიტიკური პარტიების, ასევე ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და არასამთავრობო სექტორის განცხადებები. თუმცა, მეორე ტურში მონაწილე სუბიექტების შესახებ სიღრმისეული სიუჟეტები არ მომზადებულა;
- მეორე ტურში მონაწილე პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ერთმანეთს ხშირად მწვავე ბრალდებებს უყენებდნენ ან ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებებს

აკეთებდნენ. ჟურნალისტები კი ნაკლებად აქტიურობდნენ იმისთვის, რომ დამატებითი მასალები მოეპოვებინათ და განსახილველი თემებისთვის მეტი სიცხადე შეემატებინათ;

- ჟურნალისტები სუბიექტურ შეფასებებს არ აკეთებდნენ და არცერთი პოლიტიკური ძალის მიმართ მიკერძოებულ დამოკიდებულებას არ გამოხატავდნენ.
- არ დაფიქსირებულა შემთხვევა, რომ ამა თუ იმ პარტიის კონკრეტული აქტივობები დაკვირვების ქვეშ მყოფ ყველა არხს არ გაეშუქებინა.

"რადიო 1 " (საზოგადოებრივი მაუწყებელი)




„პირველი რადიო“




რადიო „პალიტრა“



რადიო „ქალაქი“




რადიო "მაესტრო"




რადიო „ფორტუნა“



რადიო „იმედი“




რადიო „ათინათი“ (ქ. ზუგდიდი)




რადიო „რიონი“ (ქ. ქუთაისი)



რადიო „ჰერეთი“ (ქ. ლაგოდეხი)




რადიო „აჭარა“ (ქ. ბათუმი)




რადიო „თავისუფლება“

